



პრეს რელიზი

2017 წლის 27 ნოემბერი

ბი პი-ს მხარდაჭერით გაიმართა აზერბაიჯანელი ჯაზის ვირტუოზის ვაგიფ მუსტაფაზადეს შესახებ დოკუმენტური ფილმის პრემიერა

აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის არსებული მჭიდრო კულტურული ურთიერთობის მხარდასაჭერად დღეს კომპანია BP-ის ინიციატივით საქართველოში გაიმართა ჯაზის ვირტუოზის, ვაგიფ მუსტაფაზადეს, ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტური ფილმის პრემიერა. აღნიშნულ ღონისძიებას წინ უსწრებდა ფილმის პრეზენტაცია აზერბაიჯანში. ფილმის „ვაგიფი როგორსაც ვიცნობდი“ გადაღებაში გაწეული დახმარება არის მცირედი ნაწილი იმ ვრცელი პროგრამისა რასაც BP რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის მხარდასაჭერად ახორციელებს.

ფილმი პატივს მიაგებს აზერბაიჯანისა და მსოფლიო ჯაზის მასტროს ვაგიფ მუსტაფაზადეს, რომელიც გახლავთ ახალი მუსიკალური ჟანრის, ჯაზ-მულამის, ფუძემდებელი. ფილმში ასახულია მისი ცხოვრების ეპიზოდები და ასევე ცნობილ მუსიკოსთა მოგონებები მსოფლიოში სახელგანთქმული აზერბაიჯანელი ჯაზის შემსრულებლის შესახებ.

ვაგიფ მუსტაფაზადემ ცხოვრების გარკვეული ნაწილი საქართველოში გაატარა. ფილმის პრემიერას ესწრებოდნენ მისი ქართველი მეგობრებიც. პრემიერის შემდეგ დიმიტრი გონგლიაშვილმა, ვაგიფ მუსტაფაზადეს ქართველმა მეგობარმა, ემოციურად აღნიშნა: „რა უნდა ვთქვა ვაგიფის შესახებ. ის იყო გენიოსი.“

საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრმა, მიხეილ გიორგაძემ ფილმის პრემიერის შემდეგ განაცხადა: "თბილისი ყოველთვის იყო განსხვავებული და მრავალფეროვანი კულტურის გადაკვეთის ცენტრი. ვაგიფ მუსტაფაზადეც იმ ადამიანთაგანია, რომელთა ნიჭიც და შემოქმედებაც თანაბრად ეკუთვნის ორი ქვეყნის კულტურას. მუსიკათმცოდნეები და განსაკუთრებით ჯაზის მოყვარულები მას ხშირად მოიხსენიებენ, როგორც გენიალურ პიანისტსა და კომპოზიტორს, რომელმაც აზერბაიჯანულ ჯაზ-მულამს ჩაუყარა საფუძველი. ფაქტობრივად, ვაგიფ მუსტაფაზადემ აღმოსავლური ჯაზის ერთ-ერთი თვითმყოფადი და საინტერესო სკოლა ჩამოაყალიბა."

გარი ჯონსმა, BP-ის რეგიონალურმა პრეზიდენტმა აზერბაიჯანში, საქართველოში და თურქეთში, განაცხადა: „ვამაყობთ, რომ ამ პროექტით ჩვენი სახელი დაუკავშირდა აზერბაიჯანის ყველაზე ცნობილი ჯაზის შემსრულებლის ვაგიფ მუსტაფაზადეს სახელს. ის ერთ-ერთია ჯაზის ყველაზე ცნობილ პიანისტებსა და კომპოზიტორებს შორის მსოფლიოში. პატივს ვცემ მის ტალანტს და ვიცი, რომ ის ქმნიდა აღმოსავლური და დასავლური მუსიკის ფანტასტიკურ კომბინაციას. ეს გახლავთ აზერბაიჯანული ეროვნული მულამისა და დასავლური ჯაზის ბრწყინვალე ნაზავი.“

ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში როცა საერთაშორისო ენერჯის კორიდორები აკავშირებს აზერბაიჯანსა და საქართველოს. BP-ს აქვს პატივი ამ კავშირში თავისი წვლილი შეიტანოს. დიდებული მუსიკოსი, ვაგიფ მუსტაფაზადე, თავისი მოღვაწეობით სხვა სახის კავშირს ქმნიდა - კავშირს, რომელიც აერთიანებს ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხის გულებს.

BP აგრძელებს კულტურული პროექტების მხარდაჭერას საქართველოსა და აზერბაიჯანში. გვჯერა, რომ კულტურული ინიციატივები: ფილმები, წიგნები, კვლევები, არქეოლოგიური გათხრები, რასაც ვაფინანსებთ, სოციალური ინვესტირების პროგრამებთან ერთად, ორივე ქვეყანაში ხელს უწყობს კულტურულ მდგრად განვითარებას.“

სიმბოლოურია რომ პრემიერა გაიმართა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში არსებულ BP-ის აუდიტორიაში. BP-მ მუზეუმთან პარტნიორობის ფარგლებში დააფინანსა აუდიტორიის რეაბილიტაცია. მას შემდეგ აქ ბევრი ლექცია, პრემიერა, თუ შეხვედრა ჩატარებულა მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის მხარდასაჭერად. საქართველოს ეროვნული მუზეუმში ასევე გამოფენილია ასობით არტეფაქტი, რაც BP-ის მილსადენების მშენებლობის დროს იქნა აღმოჩენილი. ჩვენი ერთობლივი პროექტები და პუბლიკაციები ხელს უწყობს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას.

კომპანია ბუტაფილმის მიერ გააღებულ დოკუმენტურ ფილმში ქართველი, რუსი, ესტონელი, პოლონელი და ამერიკელი ჯაზის პროფესიონალები იგონებენ ვაგიფ მუსტაფაზადეს და აღტაცებას გამოთქვამენ მისი პიროვნებისა და არტისტული მემკვიდრეობის მიმართ.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:

BP-ის პრეს ოფისი ბაქოში

ტელ: (+994 12) 599 45 57

BP-ის პრეს ოფისი თბილისში

ტელ: (+995 32) 2 59 34 00